


# კ ვ ა ლ ი



სალიტირატურო და სამეცნიერო მანახაბიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა ღმს.

№ 15.

აპრილი 3, 1894 წ.

№ 15.

ზინბარსი: ჩემი თავგადასავალი—აკაცია. მარჯი, ღვესი რ. საჯაოხელისა—დიქრი და შენიშვნა (IV) დ. მ. მოგზაურობა შევიცარიაში—(დასასრული) საზღვარ-გარეთელისა. შესვლა იესო ქრისტესი იერუსალ-მით. ნეიტრალი ღვესი აკაცისა. XX. ქართველი სტუდენტების მატერიალური მდგომარეობა და მისი გაუმჯობესება (დასასრული) ჩარეუიშვილისა. ლავლია (პარაბუ). კროტავა (პნელი) ხომღელისა. ორიოფ საჯევა ქალუბის სამზარეულოზე. განცხადებანი.

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სუფიცი საგან ჭირნახულის საურთიერთო დამშლეველი სამოგადოების გამეგობა, რომელიც დაარსებულა 1877 წელს მოსკოვში.

აცხადებს მემამულეთა საყურადღებოთ, რომ ამ თვის გასულს იგი იწყებს თავის მოქმედებას საქართველოში, ესე იგი დასაზღვევათ მიიღებს ვენახებს და სხვა კავკასიის მცენარეებს. საყოთრიც ამ საქმეებისთვის გამეგობამ გამოგზავნა საქმეთა მაწარმოებელი ვლ. ტარზონსკი. (3)

## ჩემი თავგადასავალი

(მისაუბრები)

ღდა ჩემი დიდი ძველებურ-ოჯახის ასული იყო. 1820-ში, თეოფილაქტეს დროს, ქუთათელი და გენათელი რომ დააპატიმრეს და აჯანყება მოხდა, იმ აჯანყებულების მეთაურად ით-

ლებოდა დიდი იეანე აბაშიძე, ახალციხეს მოკლული. ეს იეანე დარეჯან-ბატონიშვილის, პირველი სოლომონ მეფის ასულის შვილი იყო და დედინემის მამა. აჯანყებულები რომ დაიმორჩილეს და დაამშვიდეს, (სწორი უნდა მოგახსენოთ, მისთანა აჯანყება არ ყოფილა, რომ ხალხს რამე ძალადობა ემზადროს; მხოლოდ უცმაყოფილებას აცხადებდენ პირდაპირ დაუფარავად) აბაშიძის ოჯახი აიკლეს და მისი ცოლ-შვილც სხვებთან ერთად ტყვედ წაიყვანეს.— გურიის უკანასკნელი მთავარი მამია გურიელი დევრიდნი მძა იყო აბაშიძის ცოლის; გამოესარჩლა დასა და დის-წულგებს, იშუამდგომლა მთავრობასთან და ტყვეები, გარდა დარეჯან ბატონიშვილის ერთის უფროსის ვაჟისა, უკანე დაბრუნეს გზიდან. მაშინ დედა ჩემი იყო 12 წლისა და ყველაფერი გულის-ფიქარზე დებეჭდა. აბაშიძის სახლობა დაბრუნდა, მაგრამ ყმა და მამული ჩამორთმეული დაუტედა, ოჯახი აკლებული და განადგურებული.—საზრდო რომ აღარ ჰქონდათ და პატრონიც აღარაინ ჰყავდათ, გურიის მთავარმა გადაიყვანა თავის ოჯახში, "ცლილობდა, რომ მათი მწუხარება, მომავალის იმედებით როგორმე გაექარებინა.—ყველაზე უფრო

დასვედიანდა თურმე დედა ჩემი: ამას თურმე დარე-  
ჯან-ბატონი შვილი აგონდებოდა, რომელიც შვილ-  
საგითა ზრდიდა და ანებიერებდა, როგორც შესანი-  
შნაუ ბავშს. დარეჯან ბატონი შვილისა არ იყოს, გუ-  
რიელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაკცია დე-  
დაჩემს. იმ დროს, როგორც სხვა ყოველ ქართველ  
დიდ-ოჯახებში, გურიელის სასახლეშიაც, თითქმის  
შინა კაცებდა ითვლებოდენ ფრანგის ბატონები და  
დიდი გავლენაცა ჰქონდათ ოჯახებზე...

ამ ევროპიულად განათლებულმა და გონება-  
განვითარებულ მცენიერებმა, დედა ჩემზედაც დიდი  
გავლენა იქონიეს: მათი მეხსებით შესწავლილი  
ჰქონდა სხვათა შორის ექიმობა მცურუნობა. — რაც კი  
იმ დროში ქართველ-ქალის ხელადავ გამოვიდოდა  
ყველაფერა ზემოწვენივთა იცოდა: იყო კარგი მწიგნობა-  
რი, მეოჯახე, მოხელე-საქარე და მასთანაც კარგი  
აღმზრდელი. — ცნობის მოყვარეობასთან, შრომის  
მოყვარეობაც შეთვისებული ჰქონდა: დილას, მამ-  
ლის ყვირზე რომ წამოდებოდა, დაღამებამდე ფე-  
ხზე იდგა და უსაქმურად კაცე ვერ ნაწავდა. — სი-  
ზარმაცე და უსაქმურობა დედა არის ყოველ-გვარ  
ბოროტებისაო. — რტყადა ხოლმე და, კეთილი საქმე  
კი იგვე მოლოცა-ვედრებოა. — მოსამსახურეს ყო-  
ველთვის თვალ-ყურს ადევნებდა, რომ სულ არ  
დებინათ რა. უსაქმოდ არაფის გააჩერებდა... ყოველ  
გვარ ხელობას ასწავლიდა მათ და ზოგს წიგნსაც  
აკითხებდა. — მაშინ, ბატონ-ყმობის დროს ამკაფრი  
ქცევა საარაკო იყო და დედი ჩემის მოქმედებაც  
ბევრს თვალში ეჩხირებოდა. მკაცრობისა და მრის-  
ხანის სახელი ჰქონდა დედაჩემი, რადგანაც თავი  
მნიშვნე ექონა. „თუ თავი გაუყვარე ბრბოს, პირს  
შეკაჩევეს, აღარად ჩაჯადებს და რაც უნდა უჩრიო  
აღარ დაიჯერებსო“ ამბობდა. — სასახლეში მისი ყვე-  
ლას ეშინოდა და დიდი ხათრიცა ჰქონდათ. მაშინ  
მეც ისე მეკონა, როგორც სხვებს, რომ დედა ჩემი  
ცუე-გული და მრისხანე იყო, მაგრამ გონებაში  
რომ ჩახედი, მაშინ კი გამოვიცილე სიზარულე.  
რის იყო, ნამეტანი ჩილი გულის მექონა და მოყე-  
რული, მაგრამ დიდ-ოჯახში ნამყოფი, დარეჯან ბა-  
ტონი შვილის ვახდლი და ბატონების ნამოწაფარი,  
განვებ პირბადეს იფარებდა, მხოლოდ კეთილი გან-  
ძნა ვით. უნდა გენახათ მაშინ როდესაც სასახლეში  
აეად ეინემ ვახდებოდა, გინდ უქანსკნულთავანცა...  
დღე და დამ მოსვენება აღარა ჰქონდა და თავის ხე-  
ლით უფლიდა, როგორც შვილს. — გაჭირებულის  
დახმარება რჯულად ჰქონდა დადგენილი. — სულ სხე-  
ზე შეუკრებდა და სახებისთვის, თითქმის თავის  
საკუთარ პირბადეზე ხელ-აღებული ყოფილიყოს,  
მუდამ მწუხარებაში იყო და ყოველ ფერიცვლობა

დღეს მტრალი იჯდა ხოლმე. ამბობდენ: ამ დღეს  
რალაც ძველებური ამბავი აგონდებოა.  
სულ სხვა ბუნების, მიმართულებისა და ხსია-  
თის იყო მამაჩემი. უქანსკნულ დროში წერეთლები  
მძლავრობდენ და სახუტის ოჯახი კი, მთავრო-  
ბისავე ზურგ-მომავარებელი, ყველაზე ბატონობდა.  
იმ დროს მამაჩემი, დედის ერთა მცირე წლოვანი  
ობოლი ყოფილა; ბიძებიც გადავარდნილი ყოფილან,  
მეფე სოლომონს ხლებიან თანა. ქვრივ-ობოლს ვინ  
არა სხავარეს და, ჩასაკვირველია, შეძენის სურვი-  
ლით გატაცებული სახუტისიც არ დააკლებდა  
ხელს. ერთხელ სახუტის მოუტრავი მოსულა ბებია  
ჩემთან და მოუხსენებია: „თქვენ რომ ეზოში, ძელქვისა  
პატარა სახლი გიღვთ სახუტეს სურს, რომ დაუთმო-  
თოა“. პატრონს, ჩასაკვირველია, შორს დაუქვრია ეს  
ამბავი, მაგრამ მოუტრავს მაინც მიუყვანა მუშები,  
დაურგრეცია სახლი და გადაუტანია. გამწარებულ ბე-  
ბია ჩემს, სახუტისთვის წიგნი მიუწერია: „დიდა  
ზურბა წერეთელი! გრცხვენოდეს უკადრისი საქცი-  
ელისო. დაგვიმართახე ქვრივ-ობოლი და სახლს  
თუ დმერთმა ინება და ჩემი მახლი შინ მშვიდობით  
დაბრუნდა, მაშინ დრო გადაბრუნდება და, შენც ეს-  
ვე საქმე მოკვირაო“. პასუხად ზურბა წერეთელს, აი,  
რა მოეწერა: „ამაშიძის ქალი, ენა დიმიოცვე, თო-  
რემ ხომ იცო, დროც ჩემ ხელთ არის და ვასავლი-  
ცო. ჩაწვერ სიამ და შენი ობლიანა მოხლოცე  
ამოგაყოფივთ თავსო“. ამ მოუტრავი შემწებელი  
ქვრივი გაწუმებულყოფი, მეტი რა გზა ჰქონდა და  
შვილსაც ისე უფრთხილდებოდა, რომ მუდამ გვერ-  
ში უჯდა და აღარსად უშვებდა, ამის ბრალი იყო,  
რომ მამა ჩემი, შინა კაცად იყო ვახდლილი და  
მხოლოდ ის იცოდა, რაც დედა მის ესწავლებია.  
მუდამ დედის კალთაში თავის დებას, ისეთი ზედ-  
გავლენა ჰქონდა მამაჩემზე, რომ იმას მთელ მის  
სიცოცხლეში, თეთი-წივობა და ახირებულობა ზნეთ  
ჰქონდა დედაცეული. სძულდა ნაღობობა, რაც იმ-  
დროში მებატონეების ჩვეულება იყო, ეჯავრებოდა  
აქეთ-იქით სიარული და სულ სახლში იჯდა. შინა-  
აჩას აკეთებდა. ამბობდა: „კაცე სიმშვი-  
დითა და მოსვენებისათვის არის გაჩენილიოა“. არც  
თითონ ზნეობდა და არც სხვას აწუხებდა. უყვარდა  
ძილი, აჭრედე არ სწყინდა, როცა ხედედა, რომ  
უსაქმური მოსამსახურეები, მთელი დღე მხარ თვიძის  
წამოწოლილი კოტრილობდენ სახლში. პირის გე-  
მო იცოდა, უყვარდა კარგათ ჰქმა და სულ იმას იბე-  
ხოდა: „არაქა მშვიერი არაფინ დარჩეს სახლში, დი-  
დსა და პატარას ყველას საყოფად აქამეთოა“. ბუნე-  
ბითად ნამეტანი გულ-კეთილი იყო, შური და ბო-  
როტება არ ესმოდა, რა იყო, მაგრამ ერთ უბრალო

რამეზე უტბად იცოდა გულის მოსვლა და მაშინ აღარ დაზოგავდა გინდ შორებელი ყოფილიყო და გინდ მახლობელი.

ეს ზენე მოუვლიდა ხოლმე, უფრო ხშირათ მაშინ, როდესაც უნებურათ გამოაღვიძებდა ეინში. მაგრამ სიიუცხე დიდხანს არ გასტანდა. მოვიყვან რამდენიმე მავალიანს: ჩვენში, როგორც შობის წინ ალილოზე, ისე სააღდგომით, ქონაზე დადიოდენ ხოლმე მომღერლები. ერთხელ იმ დროს მოვიდენ ჩვენსა მეჭონეები და დაიწყეს „კონა“ როცა მამაჩემს, აივანზე ეძინა. „ალათასა, მალათასა, ხელი ჩაქარ კალათასაო“ რომ შემოსძახეს, მაშინ გამოავლიდა მამაჩემს და მიაშურა. მომღერლებმა რომ დანინახეს ლამიებით კაცი, პერანგს ამაზა, თავშიშველია, უფშიშველა მათკენ შეუპარით მიმართულა, დაფხუნენ, გადაცივიდენ ზოგი აქეთ, ზოგი იქით ყორეზე, თავს უშველეს, მაგრამ თითო-ოროლა აქა-იქ მიგორებულნი კეცრებები კი სულ დემეტრათ-მამაჩემი გამობრუნდა და უბძანა მოურავს: „შემიტყვე ეინ იყვენ ეგ მეჭონეები, რომ ცოცხალი არ გადავარჩინროო“. ამაზე დაიდა ფიცად დასვდა, მაგრამ როდემოიძინა და კი გუზებზე დადგა, ბევრი იცინა და თავის ბძანებაც გამოსცალა: „შეიტყეთ, ეინ იყვენ ის საცოდავები, რაც დამტრევიათ კეცრებები სასაზიად უზღვეით და ამას გარდა კარგათაც დაასაჩუქრეთო“. ეს ხასიათი რო იცოდენ მისი, მიძინარის შევლას ვეინოდა და ფხიხელს კი არავინ ერიდებოდა. ოჯახის საქმეში არ ერეოდა, სულ დედინემის ხელში იყო, მაგრამ მამაჩემის ახირებულობა ბევრჯელ ხელს უშლიდა და ამ ორს სრულიად ერთნაირების წინააღმდეგ ბუნების მექან ადამიანთ ხშირათ ჰქონდა ერთნაირეთში საყვედურო. დედაჩემს არ მოსწონდა მამაჩემის ყოფა-ტყევა, მაგრამ ბევრს უთმობდა. როგორც კი შეიქნებოდა შუა დღე და გუნული თორამეტველ დაიბახებდა „გუგუს“, მამაჩემი მაშინვე სადილთა დაჯდებოდა. ადრე რო მონადროდა სადილი, მაინც არა სჭამდა, უტდიდა გუგუსს და მოთმინებლად გამოსული ყვიროდა: „რა არის ეს რაგულბაღლი, რო ასე ავციანებს და სასადილოს არ დაუტარესო“. ესეები ყველა დედას არ მოსწონდა და ხშირად გეტყოდა ხოლმე: „შენი ცოდვა მიუცეს, ეინი შენ ავრე გამოვარდაო“. ამკვარი ახირებულნი ხასიათი ოჯახში მოსაწონი არ არის, როგორც წესისა და რიგის ამრევი, მაგრამ სასახლეში კი ყველას ეტაბატანი უფრო უყვარდათ, ეიდრე ქალბატონი. საკერძოვითა, მრისხანე დედაჩემს არ უყვარდა არაეის დასჯა, მხოლოდ სიტყვითა და შეხედულობით იყო სწავნი. ხშირათ იპატიებდა ხოლმე მამაჩემისაგან გულმოსულობით გაწირულს, მაგრამ მაინც ყველა მრისხანეთა თვლიდა.

ერთხელ, მოკლილი ფარეშები, წასულიყვენ შეშის მოსატანათ, ტყე იქვე ახლოს იყო; თითო კონის შეკვრას, რასაკერაეულია, დიდხანს არ მოუწდებოდენ, მაგრამ დაღამებამდე მაინც რათ დაბრუნდებოდენ სასახლეში, დარჩენილიყვენ სათამაშოთა და სხეთა შორის ტირილობია ეთამაშნათ: გადაფარებდენ თურმე ჩოხას შეშის კონას, დახურავდენ ქუდს, ერთი მიუზოქებდა, ორი იქით-აქეთ ხელს მოკიდებდა, სხვები ზარს ააყოლებდენ და დაწყებდენ მოთქმით ტირილს, ვითომ და მკვდარიო; ხან ერთმანეთს ტიროდენ, ხან თურმე მოურავს, ხან ხელოსნებს, ხან მზარეულებს, ხან ეისა და ხან ეის. ამ ხანათ თურმე რიგი მოურავზე მიმდგარიყო. იმასაც გავეო, გული მოსელოდა და ბატონს დააბეზო: „თქვენ გტროდენო“. მამაჩემს გული მოუვიდა. მიაცყანია მომტირილები და მათი საქმე ცუდათ იყო, თუ დედაჩემი არ გამოასარჩლებოდა: „როგორ გკვადრება, ავრე გამოურკვეველად გარისხებო, ტირილიც არის და ტირილიც არისო. ეინ იცის, რა სიტყვებს ამბობდენო. ევება მართლა წარმოიდგინეს, რომ ბატონი მართა გყავდეს, რა დღეში ჩაეკინდებნითო და იმას მოთქვამდენო“. ამის გამოგნე ბიჭებმა გული მოიციეს და შეფიცეს: „შენი ხატი ნუ გაგვიწყრება, ჩვენ თქვენი ხსენება არ გავგებდომს და ღმერთმა ნუ მოგვასწროს მაგ დღესო. ჩვენ მხოლოდ მოურავი ვიტრიეთო“. მამაჩემს გაეცინა და ბძანა: „კარგი, აღარ დაგსჯით, მაგრამ გამიმორეთ კი ახლაც, როგორ იტრით მოურავიო“. იმათაც რასაკერაეულია შემოიტანეს შეშის კონა, გადაფარეს ჩოხა და შექნეს ღრიალი: „ევიამე მოურავიო“ და შეიქნა „კამედა“. სათითაოდ ატრისეს სუყველა, დღმა—ბატონამ, ეინც კი ოჯახში იყო, თავი მოიყარა, შეიქნა ერთი საზოგადო მზარეულება, ასე გაშინჯეთ დედაჩემიც კი მეორე ოთახში იჯდა და ცდილობდა სიცილი შეეკავებია. ცუდ გუნებაზე იყო მხოლოდ მოურავი და მეორე დღეს, მოციქულიც მოუგზავნა მამაჩემს: „თუ შეიძლებოდა ეს რამდენიმე ხნით დამითხოვეთ, რომ სახლში წავიდეთ“.

ევება ეინვე იფიქროს, რომ ამ გვარი საქმეების ჩამდენი და საქმეში აჩქარებულნი მამა ჩემი მზატე ჰქუის ყოფილიყოს. სრულიადც არა, ძლიერი გონების კაცი იყო, მოსწრებულნი და ენა მჭკერი, თუმცა კი ხშირად ენა მწარეც. დედა ჩემი იტყოდა ხოლმე: „ამ ჩემ შეიღებს მამა მისის ენა გამოკვეთა, დახურდავებულიო“. ჩვენ ხუთი დაძმანი ეყავით, ენათის მაღლით არც ერთს არ გვექონა სუსტი ენა და აქედან შეგვაძლია ეიგულისხმათ, თუ რა უნდა ყოფილიყო მამაჩემის დაუხურდავებული ენა? სწორეთ, სასიამოვნო და საყვარელი სანახავი

იყო მამჩემი, როდესაც გუნებაზე იყო. იმას რო სწავლა მივიღო და ცხოვრებაში განვითარება ჰქონოდა, შესანიშნავი რამე იქნებოდა, მაგრამ ნამეტან გულ-კეთილობასთან შეერთებულ გულ-ფიცობას სულ სხვა ბეჭედი დაესვა და თუ დედანემი არ ყოფილიყო, ოჯახში ყოველივერი არეულ-დაჩეული იქნებოდა. ამას თითონ მამჩემიკა გრძნობდა და დამშვიდების დროს, დიდი პატივის მცემელიც იყო კოლის ნება-სურვილისა. მიუხედავად მისი ახირებულობისა, გარეშეებსაც ძალიან უყვარდათ მამჩემი და მთავრობაც დიდ პატივს სცემდა სიმართლისა და პირდაპირობისათვის და ბევრ რამესაც უთმობდა. ერთხელ, გენერალ-გუბერნატორმა გავარინმა დაიბარა: „მოდი ახლავე ჩემთან, უნდა მოგილოცო ხემწიფის წყალობით“. ბზობა დღე იყო. მოვიდა მამჩემი. გავარინმა მიულოცა და უთხრა, რომ ხემწიფის „ბლალოვოლენიე“ მოგივიდაო. მამჩემს იმა და დაჯდა, დაუწყო ცდა, როდის ჩამაბარებენ „ბლალოვოლენიისა“: იცადა, იცადა, სადილობა გადავიდა, მამჩემმაც მოთმინება დაკარგა და მიიძახა: „თუ მი-

ბოძებთ, მიბოძებთ, ეგ რაღაც „ბლალოვოლენიე“ არისო!—გუბერნიის მმართველს გაეცინა და უთხრა თარჯიმანის პირით: „ბლალოვოლენიე“ უმაღლესი მადლობა არისო“. მოთმინებიდან გამოსული მამჩემი წამოვიარდა ზეზე და მიამყვინა: „ღმერთმა უმაღლესი გამყოფოს, უსადილოთ დაბრავეთ! დღეს ბზობაა, მაგას ერთი კარგი ზურგიელი მერჩიაო“—სიტყვა და გამოვიარდა გარეთ. არ გაუვლია ნახევარ საათს, რომ ჩვენსა თარჯიმანი მოვიდა, გავარინის გამოგზავნილობა თანაცერთი წყვილი დიდროუანი ზურგიელი მოიტანა: „ეს მიხსლება შენთვისო“—შემოეთვალა გუბერნატორს, და „ბლალოვოლენიე“ კიდევ სხვა იყოს ზედ მეტათაო“. ჩასაკვირეელია, სრულიად დამაყოფილებულმა მამჩემმაც დიდი მადლობა შესწირა.

მამჩემის ახირებული ხასიათის ასახსნელად, ბეგერი რამ სასაცილო შემთხვევა მახსოვს, მაგრამ ამას შემდეგში ვიტყვი.

აგაჟ

(შემდეგ იქნება)

### მ ა რ ტ ი

**მ**არტო! რად ხარ დაუნდობი, უწყალო და გულ-ქვა, კაჟი, რად მტარვალობ, რად არ დგები მაგ შენს ქერქში, მაგ შენს კანში.

რად გწყურია ჩემი სისხლი, რად გსურს სული ამომხადო, რად ინახავ ამ ხვაშიადს, რად არა გსურს გაძიქსადო...

გაზაფხულის მოლოდინში ავტრ სისხლი გამოშრება, და შენ კიდევ ჩემი ტანჯვა სასიამოდ რად გირჩება?

რაა, ერთად მომახვიე: თოვლი, ყინვა, სეტყვა, ქარი, ჯოჯოხეთის შესადარი, საოკარი შესაზარი?

მარტო! ზიზღით მოგიგონებს გაისს... ეთი მე, ისე ყველა, და ქვეყნისგან მოგეძღვნება შეჩიერება, ვაზაბა, წყველა.

დეე, დასტები მტარვალობით, დაგელევა შენც დღე მალე... ზეკა ვახსნის შუბლს მოკუმხნულს,

სხიეებს მოპყვნს მზე ბრწყინვალე. იმდენ ღონეს კი შევიკრებ ზაფხულამდის მიმყვეს სული, მაშინ ვიგრძნობ ნეტარებას ზამთრის სუსხით დაჩაგრული...

რ. სარჯიხელი

### თიქრი და შენიშვნა

#### VI

**მ**ენიოსი მარტო თავისის ძალ-ღონით გამოკალეს გზას; მისთვის დახმარება საჭირო არ არის“...

„ააზრის განვითარების შეჩერება შეუძლებელია; ვერც მწერლობის განვითარებას შეაყენებს ვინმე“... „სალიტერატურო ფონდი და სხვა ამ გარდა დაწესებულბანი, რომელთაც მიზნათ აქეთ მწერალთა დახმარება, მეტნი არიან; მწერალი, რომელს სულითა და ნაოკით მწერალია, სხვის დაუხმარებას ვადაც დასძლევს ყოველსავე დაბრკოლებას“... და სხვა და სხვა.

ძვირფასო მკითხველო, უსაფუძვლო იწინება რომ ამ ნაირად მოლაპარაკეს ყველაფერზე უნდა

კითხვის კაცმა: „გვიბრძანეთ ერთი, თქვენ ქართველი ბრძანდებით, თუ არა“? ჩემის აზრით სრულად სასუქმლონი კითხვა იქნება ამ გვარი კითხვა ამისთანა დროს და მეც სწორად ამ გვარივე კითხვა მივეცი ერთ ჩემ მოსაუბრეს, როცა ზემოდ მოყვანილ ზოგად ფრაზებით გამომიქეკა ყურები. მეცა და ჩემ მოსაუბრესაც ეეროპოულად გვეცა, ბასი რუსულ ენაზედ მიდოდა და, რადგან არავითარი გარეგანი ნიშანი არ ამტკიცებდა ჩემის მოსაუბრის ქართველობას, მეც გავკადნიერდი და ვითხე, ქართველი ბრძანდებით, თუ არი მეოქი, დიად, ვითხე, რადგან, თუ ვინცობაა ჩემი მოსაუბრე ქართველი არ იქნებოდა, ადგილი აღარ ექნებოდა მასთან ქართულ სალიტერატურო ფონდზე მსჯელობას, რომელზედაც მაშინ ჩვენ ესაუბრობდით. წარმოადგინეთ, ჩემმა მოსაუბრემ იწყინა ამ გვარი კითხვა (სხებმაც ვინც ჩვენს საუბრას ისმენდნენ იწყინეს; ეს პიროვნების შეურაცხველია არისო, თუმცა გულ-წრფელად აღვიარებ, რომ მე პიროვნების შეურაცხველია სრულიად არ მდომია) და პასუხის მოცემის მაგიერ თვითონაც მკითხა, მწერალი ბრძანდებით, თუ არა?.. ამაზედ შესწავდა ჩვენი ბასი მაშინ, ჩემდა სამწუხაროდ, რადგან საუბარი მხოლოდ ახლა შემძლო მე გამგებრძობებინა, როცა შევიტყე, რომ ჩემი მოსაუბრე ქართველი ბრძანებულა. მაგრამ რადგან ჩვენ კურთხეულ საქართველოში, იქნება სხეც ბევრი იყოს ჩემის მაშინდელის მოსაუბრის თანამოაზრე, ამიტომ აკაკის ცუქიასი არ იყოს, მეტი გზა არ არის, საანბანო ჭეშმარიტებაზე უნდა ვილაპარაკოთ ისევ.

აი ეს საანბანო ჭეშმარიტებანიც:

1) რადგან ჩვენი ქვეყანა სრულიად სხვა პირობებშია, ვინც სხვა, ცოტად თუ ბევრად, განათლებული ქვეყნები, ამიტომ ის, რაც თქმის ფრანგს, ინგლისელს, გერმანელს, თეთი რუსსაც კი და სხვებს, არ ვთქმის ქართველს. საფრანგეთში, ინგლისში და სხვაგან, თუ საქმეა, რომ ნიჭიერი კაცი სატახტო ქალაქშიდის მივლდეს, ერთი ხეობიანი მოთარობა დასწერიოს ან სხვა ხელოვნებაში, ან მეცნიერებაში გამოიხიროს თავი, ჩვენში ეს სრულიად საქმეა არ არის. რომ ეს ახეა, ამტკიცებს 19 მარტის „ნოვ. იმპ.“-ში დაბეჭდილი წერილი ჩოხატაურიდან, სადაც მოთხრობილია ჩვენის ნიჭიერ ახალგაზდა მწერლის ე. ნინოშვილის ამბავი. დიად, საფრანგეთში, ინგლისში და სხვაგან ე. ნინოშვილი თავის ნაწერების მეოხებით ახლა კაპიტალისტი იქნებოდა და ჩვენში კი ძლიერ იბრუნებს სულს, ძლიერ შოულობს ლუქმას...

2) როგორც მდიდარ კაცს შეუძლია არაფრად

ჩაადგოს რამოდენიმე მანეთის და ათის მანეთის დაკარგვა, ისე იმ ერს, რომელსაც ბევრი გენოისი მწერალი ჰყავს, შეუძლია არაფრად ჩაადგოს და უფრადღება არც კი მიაკციოს პაწაწა ნიჭის პატრონს; და როგორც საწყალს კაცს ყოველი გროში ძვირად უღირს, ისე ჩვენთვის ძვირად უნდა ღირდეს არამც თუ ე. ნინოშვილისთან ნიჭიერი მწერალი, მაზედ უფრო მცირე ნიჭის პატრონიც, თუ კი თავის ნიჭს სამშობლოს სასარგებლოდ ხმარობს...

3) თუ სხვა განათლებულ ერთათვის ლიტერატურა, როგორც სხვა ხელოვნებანი, მხოლოდ სულის მასხრადობელი და განმავითარებელი საშუალებაა, ჩვენის ერისთვის თვით სულია. წინადაც გეთქვას და ახლაც ვიტყვით, რომ მოსახეთ ქართული ლიტერატურის განვითარება და საქართველოც გეოგრაფიული-ღატერმინი იქნება მხოლოდ! დიად, ლიტერატურას უნდა მიაკციოს ჩვენს მდგომარებაში მყოფმა ერმა უფთავრესი ყურადღება, თუ სურს თავის ეროვნების დაცვა. რად მინდა იმისთანა საქართველო, რომელშიაც თუნდ მდიდარი და განათლებული ერთი ცხოვრებდეს, თუ კი ის ერთი ქართველი აღარ იქნება? მდიდარ, უცხო ენაზედ მოლაპარაკე, საქართველოში მცხოვრებ ერს, რომელსაც ქართველის აღარც სული ექნება და აღარც გული, ათას წილად ღარიბი ჭაწაგული მიჩნენია!..

4) რაც უნდა სულითა და გულით მწერალი იყოს კაცი; რაც უნდა უყვარდეს მას მწერლობა, შეუძლებელია, თუ გარემოებაც ხელს არ უწყობს, რაიმე თვალ-საჩინო შექმნას. აბა, როგორ უნდა დაუდვას გული ადამიანმა წერას, როცა მეორე ოთახიდან ესმის ადამყოფ ღელის \*), ან სხვა მახლობელის ცენსაც და მას კი საშუალება არა აქვს, ექიმი მოიწვიოს, წამალი უყიდოს, მარგებელი სასმელ-საქმელი მიაწოდოს? მწერალსაც ხომ გული აქვს და სამართლიანს მოთხოვნილებას საყვარელ ადამიანისას როგორ მოუტყუებს და აიღებს კალამს ხელში? „შენ ქვეყანას უპირებ სიკეთის ქმნას და მე... მე შენ დედას (ცოლს, დას, შვილს და სხვ.) მივიწყებო.“ რომ დღეში რამოდენიმეჯერ გაოგონას კაცმა, განა გასამტყუარა იქნება უტუგალის კალამი, დასწყველობს ის დღე, როცა პირველად მუხას გამოვსაუბრო და გაიქცეს რომელმე ამ ქვეყნის ძლიერთან „დოკლადная записка“-თი ხელში? მერე როცა, ათას გაქირებდა გამოვლილი, იშოვის რამოდენი-

\*) დავვიწყეთ იმისთანა მდგომარება, როცა თვითონ მწერდას აჯად, როცა მას თვითონაც შა, ციჭ და სხვა.

მე მანათიანს ადგის, რისთვისაც მოვალე იქნება მთელი ღლე კანცელარიაში იჯდეს, განა საყვედური ეთქმის მას, რატომ ხეირიანს ვერაფერს სწერსო?.. მწერალიც კაცია. რომ მან ხეირიანი რაჲმ დასწეროს და პირველ ნაწარმოებით არ გაათავოს, საქიროა ახალ-ახალ შთაბეჭდილებათა იძინდეს, საქიროა საცმო თავისუფალი დრო ჰქონდეს, ნიქს იეითარებდეს, სწავლობდეს... ყველა ამისთვის კი საქიროა საშუალება და, რადგან ჩვენში მწერლობა საცმოა საშუალებას არ აძლევს მწერალს, საქიროა თვით ერმა იზრუნოს მათზე!..

დ ბ.

### მოგზაურობა შვეიცარიაში

#### III.



ხვის მიწაზე რაჲმ ნაყოფის მოგლეჯა სასტიკად აიკრძალულია; კანონით დამწაზვეე სამართალში მოკცემა ღჯარიმა გადახდება. ეს ასეც უნდა იყოს რადგანაც ყოველი ნაყოფი ფულს წარმოადგენს, გინდ ერთი ვაშლი მოგაპარავს და გინდ თანაბარი ფული, ყველაფერი ფულით იზომება. დღევანდელი ბოლოკი, ხელ ფულად ქცეულია, უზრუნდება პატრონს. როგორ ხდება ეს?

როგორც ვთქვი, ყველა ერთ და იმავე საქმეს არ მისდებს, ერთი ერთს მუშაობს, მეორე მეორეს, მებოსტნეს შეიძლება ვენახი არ ჰქონდეს, მევენახეს ყანა, მეყანეს ძროხა არ ჰყავდეს და სხ. ერთი სიტყვით, თითოეული ხელს ჰკიდებს იმას, რაც მას ემარჯვება და ცხერხება. ერთ საქმეში უფრო დახელოვნდება კაცი, ვინემ მრავალში. გლეხობას ეს კარგად აქვს შეგნებული. შრომის განაწილება იქამდის არის მისული, რომ ზოგს მარტო კართო-ფული მოჰყავს და ამით ირჩენს თავს. გლეხს თავის ნაწარმოები გამოაქვს გასასყიდათ თავისივე სოფელში, ან მაკლობელ ქალაქში. სოფელში ისე კი არ არის, რომ მეზობელი, მეზობლიდან ჰყიდულობდეს, არამედ გამართულია საწყობი ალაგი და გამოიდელი იქ აწყობს, მყიდველიც იქ ყიდულობს. ქალაქში კი თითონ გლეხს მიაქვს გასასყიდათ. ფასი სოფელში ე. ი. ადგილობრივად და ქალაქში ერთი და იგივეა. ერთ მიუვალ ალაგს, მთაზე, გლეხი ალუბალს ჰკრეფდა. ყოველ მსურდა და ფასს შეეკითხებ, სწორედ ისე დამოუკის, როგორც ქალაქებში იყიდება. როცა ამის მიზეზი ეკითხებ, ასე მიპასუხა:—ქალაქში ჩატანა არაფრად გვიჯდება, რამოდენიმე ფუთს ერთად წაიღებ, ამავე

ღღეს გაყიდი და შინ დაებრუნდებო. მართლაც ქალაქები ისე ახლო-ახლოა განაწილებული, რომ სოფელი ადვილად სწვდება. ყველაზე უფრო მიგარდნილი სოფელი ქალაქთან 4—5 ეერსის დაშორებით იქნება. მიმოსვლა გაადვილებულია შვეიცარია ფართო შარა-გზებით და მატარებლებით. თუ სოფელი დაბალზედ არის დაფენილი (როგორც მაგ. ტენეს ახლო-მახლოს) უთუოდ ქალაქთან რკინის გზით არის შეერთებული. ქალაქებს შორის, რაც უნდა პატარა იყვენ, რკინის გზა და „ელექტრიკი“ (ე. ი. როგორც ჩვენში ცხენის რკინის გზაა, იმ ვარჩევით რომ ვაგონები ელექტრონის ძალას მიჰყავს და არა ცხენს) დადის. მოგზაურობა მეტად იაფია. (გზების შესახებ დაწერილებით მოგილაპარაკებთ შემდეგ) გლეხს თუ ერთ ალაგს არ დაუჯდა ბაზარი, მეორე ქალაქში მიდის ღ იქ ასაღებს თავის ნაწარმოებს. ისიც შეიძლება, რომ უცებ მუშტარი ვერ იზოვავ, ფული კ სკირაქს ან შემთხვევაში საქონელს უტოვებს ნაწინა მელქანებს ღ ცოტა ფულს არიამდეს, რამდენსამე დღეს შემდეგ ბრუნდება და დანარჩენი ფულიც მიაქვს, რადგანაც ამ ხანში გაიყიდებოდა. რასაკვირვლია აქაური მელქანე ჩვენებურს არ ჰკავს. ფასის მოკლებ-მომამატება, მოტყუება და წვლეჯა არ შეიძლება. რა ფასიც ბაზარზე არის, იმას არც მელქანე გადააკლებს, მისი ერთი სიტყვა ბეჭედია. საქონელი თუ მწად რომ დადგინდოს, შეიძლება ერთი ამაში დავიკლოს, მეტს არასადღეს. ამისთვის არც გლეხი რჩება მოტყუებული. მაჯრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ გლეხის მოტყუება ერთობ ძნელია; ანგარიში, ბაზრის ვითარება, ფასის აწე-დაწევა მას ისე გაეგება, როგორც მელქანეს. გლეხს მუდამ ქალაქთან აქვს საქმე, მუდამ რასმე ყიდის, ყიდულობს. უქალაქად მისი ცხოვრება წარმოუღმწენლია. ამას გარდა ქალაქებში არის იმისთანა დაწესებულება, სადაც მეტრეზ პოლიობს თავშესაფარს აქ ყოველნაირი საზოგადოებებია. მაგ. საზოგადოებების მწარმოებელთა, მებაღეთა, პირუტყვის მომწეწებელთა და სხ. თითოეულ ამათანს საკუთარი საწყობი აქვს გამართული, მეტრეზ იქ სტოვებს გასასყიდ საქონელს, საიდანაც ღებულობს ზეს და დანარჩენში ბარათზე აღნიშნულია დატყუებული თქვენი ამდენი-და-ამდენი საქონელი, ამა-და-ამ მახანდაზმე გასასყიდათ და სხ. ამით სარგებლობს საზოგადოების არა წევრიც. მესამედ, გლეხი ასაღებს თავის ნაწარმოებს კიდევ სხვა გზით, ყოველ ქალაქში კვირამორაჯელ (შაბათობით და ოთხშაბათობით) იმართება ბაზრობა. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს გეოგრაფიისთვის. თითქმის მთელი ბაზარი გასტეულია სოფლიდან ჩამოტანილი ნამუშავერით. მყიდველიც ამ ღღეს უტღის.

ამ გეგმად მეურნეს ბაზარი ყოველთვის აქვს; სკიდა-გასყიდვა ძალიან გადავიღებულა. მან კარგად იცის გაუყოფელი არაფერი დარჩენა ოღონდ კი ჭკარდეს რამე. გლეხი მთელი წლის განმავლობაში ბოსტნეულობას ზიდავს ქალაქში; ამას დასასრული აღარ აქვს. ძნელი წარმოხადვნია, რამდენი ფული უნდა აიღოს, პაწია ნაქერი ადგილით.

რის მოშენებას მისდევნ კიდევ თვით სოფელში?

რამდენიც უნდა იმოგზაუროთ სოფელში, ვერსად ვერ დინახათ შინაურ ფრინველებს, ღორს, ძროხას და სხ. თავის თავს ეკითხებით ნუ თუ ამოდენა ზალს ერთი წიწილაც არ მოეძებნებაო. მაგრამ თუ ეკითხათ, გაიგებთ, რომ ყველაფერი მოიპოვება, მხოლოდ ქუთვებში არ უშვებენ, რადგანაც ეს აკრძალულია და ამასთანავე არც პატრონისთვის არის დასარგებლო. აქაც, როგორც ყველგან, შრომის განაწილება არსებობს. მაგალითად, მივლს სოფელში ქათმის მოშენებას შეიძლება ერთი, ან ორი ოჯახი მისდევდეს, დანარჩენთ ერთი ბუდეც არ უდგიათ. მექათმე თავის საქმის მეტს არას აკეთებს, ამაზედ არის ის გადამკედარი. ყოველივე მანქანა რაც კი საჭიროა მისთვის, ნაყიდი აქვს, ტუნეიკის უჯანსაყნელი გამოგონებით მუშაობს. ზამთარ-ზაფხულ ქათმები დამწყვედულია სავანგებოთ ამინებულ სახლში; აქ არის აგრეთვე ინდოური, ბატკი, იხვი და სხ. თითოეულ ჯიშს საკუთარი ბინა აქვს მიჩენილი და თითოეული ბინა სხვა და სხვანაირად არის მოწყობილი. უმთავრესი ყურადღება მიქცეული იმაზე, რომ რაღ შეიძლება პატრონმა ბევრი კერეზნი მიიღოს. გამოსაჩნებად ქათამს არაფერ მოაკლის; ამ შემთხვევაში ქათმის მაგივრობას გამოსახეცი მამინა ასრულებს. ამ ხელსაწყოს წყალობით წიწილები ხელაწეურად, უდელლოთ, იჩვენება. ვასასიდი ქათამს ერთობ ასუქებენ, ამისათვის მუდამ ერთ ალაგს ამწყვედვია. შინაურ ფრინველებს სოფელში არ აქვს ბაზარი, ის გლეხისთვის ხელ-მიუწოდამელია. ქალაქის ბაზრობაზე ჯოგით მორგევენ ინდოურს, ბატს და სხ. ქათამს დაკლული ყიდიან. ამას მიუმატეთ კერეცი და ბუმბული და მართლაც კარგი ჯამი შედგება. ფრინველების კვება ძალიან ძვირათ უჯდებათ, ამისათვის, რომ სიმინდი იტალიიდან მიაკეთ. აქ სიმინდს არ სთესენ. ერთ გლეხს ეკითხე, რატომ ქათამი არ გაგიჩენიათ? ზეურში უქათმო ოჯახს ვერც კი ნახათ-მეთქი. ამაზე იმან მიპასუხა: ეის შეუძლია ქათმის მოვლა და ჩვენა? ყოვალ უფრო იაფად მიჯდება, ვინემ სახლში დატერა. თქვენში შეიძლება საკები ბევრი იყოსო...

ამას გარდა, სოფელში ღორის და ძროხის მოშენებასაც ეტანებან. აქაური ღორი ინგლისურის

ჯიშისაა: თხელი კანი, თეთრი ბუწეებით შემოსილი და მოკლე ფეხებიანი. სალორე ისეთნაირად არის ამინებულა, რომ ადამიანთა სადგამო გვერდებოთ. ერთ ოჯახს ვიცნობდი, რომელსაც ღორები ჰყავდა და ამით თავს ირჩენდა. როცა შითხრა, რომ სულ ოთხი ღორი მყავსო, ძლიერ გამოვიკირდა და ვეითხე,—განა ამში ჰყარგავთ ღორს? მე მეგონა ღორის ჯოგი ყავდათ. ამაზე მან მიპასუხა, რომ ღორის ჯოგი არავის ჰყავს და არც კი გაუგონათო. თუ ვისმე 8—10 სული მოეძებნება, ის მიდართო რიკზეში ითვლება. მაკარმ ეს იშვიათია. ჩვეულურებათ ორი, სამი, ოთხი მეტი არა. როგორც მან მიამბო თითო ღორი 11—13 გოქს იძლევა. ათს იშვიათად. როგორც კი დაიბადება გოჭი, მაშინვე მყიდველი მოდის, თითოში აძლევს 10 15 ფრანკს (4—6 მან.) და მიჰყავს. ხშირად წინდაწინ აძლევდნ ბეს, ამა-და-ამ ღორის გოჭი მე მომიყიდეთ. ზოგ გოქს ზრდიდა და შემდეგ ყიდა. გაზრდა ბეგრს ხარჯს თხოულობს. მუდამ საჭმელს აძლევენ, წლის გასვლამდე ისე სუქდება, რომ სიარული აღარ შეუძლია, თვალის ქუთუთოებზე ქონი ედება და თვალს ეფარება, საჭმელს სანამ ცხვირთან არ მიუტანენ ვერ დინახავს. როცა ღორი ჭამას თავს დაანებებს, მაშინ ცდილობენ გაეციდეს, თორემ სისუქენ დაიკლებს. ყიდიან წინათ; საღორის ერთი განყოფილების იატაკი სანარსაკ წარმოადგენს, შერევენ ასწონიან ციკსლათ და მუშტარაც ამისდავაგარე ყიდულობს. ამნარი ღორი იწონს არა ნაკლებ 7—9 ფუთისა და იყიდება 70—90 ფრანკათ. ძალიან გაეკირდი, როცა პატრონმა შითხრა: აძლენი ხანა ღორს ვაშენებ და ყვიდი, მე კი ორჯულ მეტად არ მიჰკამა ღორის ხორციო...

შვეიცარიის ადგილი მდებარეობა ხელს უწყობს მსხლელენა პირუტყვის გამოჩენებას. აქაური მაწინადგილი შეიძლება სამად დაიყოს: მაღალზე საბალახა და საქონელი იკვებება, იმას ქვეით, გორების კალთებზე, ვენახია გაშენებული. სულ დაბლა პურს სთესენ. პირველი რიგის ადგილი ორ წილს შეადგენს, ამისთვის პირუტყვის მოშენების საქმეს უმთავრესი ალაგი უჭირავს ერის მეურნეობაში. განსაკუთრებით ძროხის გამოჩენებას მისდევენ. ხარი იშვიათი ნახანავია. ძროხას თუსხარე ზხო (მოზგერი) ეყვოლა, აღარ შეარჩენენ, რამდენსამე ღღეს შედგება დაკლავენ და ჰყიდიან. საკალო საქონელი იტალიიდან მიჰყავთ, ეს უფრო იაფად ჯდება. სახნავ-სათესში, რამე-რუმეების გადასატან-გაღმოსატანად ხმარობენ ცხენს და არა ხარს. სამაგიეროთ შვეიცარიელი ძროხა და ყველი მთელ ხმელეთზე განთქმულია. აქაური ძროხის სიტანადე, სილამაზე, ჯიქის სიღრე

უნებურად იქცეეს ადამიანის ყურადღებას, ვსურთ მუდამ უტყპროთ და დასტკბეთ ამ საუცხოო „ცხოველით, ასე ჰგონიათ, კაცის ხელით არის ჩამოსხმულიო: რომ იტყვიან დახატულიაო, სწორედ ეს არის. ჯიქანი დიდი ქებასიღენა აქვს, ერთ მოწველაზე 8—10 ბოთლ რძეს იძლევა. ჯოგათ ყოლა აქ არ იცანა, თუ ვისზე ათა სული ძროხა ჰყავს, ის თითო საჩვენებელია, ჩვეულებრივად ჰყვით ერთი ან ორი. შეიძლება ყველის ქარხანას ჰყავდეს 5—10 სული, კრძობა კაცს და მით უფრო გლეხს არასოდეს. ზაფხულში, როცა ძროხა საბაღახოზე არის, რძე და ყველი დაძვირდება, ეს გრძელდება ორი თვე, შემდეგ ჩამორგვენ სოფლად და დანარჩენ ათ თვეს კარ-ჩაკეტულში ინახავენ. წველენ უნებოდ. არც ერთს სახელმწიფოში იმდენი რძე არ ინარჯვის, რამდენიც შეეცარიაში. სოფელში და ქალაქში რძეს ისე ხზარობენ, როგორც მაგ. ჩანს რუსეთში. რაჟი ამოდენა მოთხოვნილებაა, რძის აღემ-მომცემობაც რივანად არის მომართული, ყოველ სოფელშია საწყობი (სარძევე), სადაც მთელი სოფლის რძეს აგროვებენ. ზოგი ნაწილი იქვე იყიდება (გლეხს ხომ ყველას არ ჰყავს ძროხა) და ზოგსაც განსაკუთრებით ჭურჭლებით და ეტლით ეზიდებიან ქალაქში. ყალბი რძის გაყიდვა სასტუკად აკრძალულია; დამნაშავეს პირველად დაჯარიმებენ, მეორედ კი სრულად აუკრძალავენ ვაჭრობას. ძროხის პატრონი, გლეხი, ყველს არ აყეთებს; ის მხოლოდ რძეს ჰყიდის. ყველის გასაკეთებლად განსაკუთრები-

თი ქარხნებია. მექარხნე ყიდულობს რძეს, ერბოს ართმევს და ცალკე აზხადებს, დანარჩენს ადულებს ორას გრადუსამდე ორჯელ ჭყველი გამოჰყავს. ამგვარად გლეხი ყიდის რძეს, შემდეგ თეთთანე ყიდულობს ერბოს და ყველს.

ცხენებს სოფლებში არ აშენებენ. ამისათვის განსაკუთრებითი საშენებელია. აგრეთვე იშვიათია ცხვარი, ხოლო აქა-იქ მცირედა თხები ჰყავთ. ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩვენ შეგვიძლია დავსკვნათ შემდეგი:

1, ყოველივე ძველმეურთა (პატრიარქალური დიალიური) წყობილება გლეხთა შორის დარღვეულია; მათი ურთიერთ შორის დამოკიდებულება დამყარებულია ნივთიერ ინტერესებზე, ანუ ანგარიშზე.


2, ადამიანთა შორის ისეა დაყოფილი შრომა, რომ უერთმანეთოდ ცხოვრება ერთ დღესაც არ შეუძლიათ, ამის გამო სოფელი და ქალაქი მჭიდროთ არიან დაკავშირებული.

3, თითოეული თუ რასმე აყეთებს, მხოლოდ გასასყიდათ, ამით ის ჩათრეულია აღებ-მიცემობის საქმეში.

აი, ამ სამ უმთავრეს დედა-ბოძზე არის აღორძინებული დღევანდელი შეეცარის სოფლის ცხოვრება. გლეხი ერთ და იმავე დროს გამოყიდველიც არის და მყიდველიც, ვაჭარიც და მეურნეც. შემდეგ ჩვენი წერტილებით ეს აზრი უფრო ნათლად გაიკვევა.

საზღვარ გარეთული

უნგვა



შესვლა იესო ქრისტესი იერუსალიმად



ესო ქრისტემ მთელს იუდაში განითქვა სახელი თვისი ლეთიური მოძღვრებით. იგი შეიქნა ნუეგმინის-მცემელი დანარკულითა, სრულთა გამყურნებელი, იმედ-დაკარგულთა სასოება, ძლიერთა ამა სოფლისათა რისხვა და გლახაკთა პატრონი. სადაც უნდა გამოჩენილიყო, მის გარშემო იკრიბებოდა დაბალი ხალხი. მდიდარი წოდება ფარისეველთა და სადუცეველთა ძალიან სწუხდა ამ ამბავს, რადგან მათ მოაკლდათ პატრიისცემა დაბალი წოდებისაგან; მათი ყმანი და მოსამსახურენი აღორისმენდენ იმათ ბრძანებას, სტოეებდენ იმათ ოჯახს, კარ-მიდამოს და მირბოდენ იესო ნაზარეველთან ქადავების მოსასმენად და საუკუნო ჭემპარიტების შესაგნებათ. მედიდური მწიგნობარნი დრტყინაედენ იერუსალიმის ქალაქში და ეძებდენ მიზგეს, რომ კეისრის წინააღმდეგობა შეეწყამბინათ იესოსთვის ჭ რომის

მთავრობის რისხვა გამოეწვიათ ახალ მოველენად ქრისტეზე. ერთხელ იმათ თან დაისწრეს იროდი მფრის მოხედენი და ჰკითხეს იესოს: „მოდღარო, როგორ ფიქრობ? სამართალია თუ არა, რომ კეისარს ხარჯი მიეცეთ? იესომ გულისხმა ჰყო, რომ ისინი მახეს უგებდენ და უთხრა მათ: „აბა, მიჩვენეთ კეისრის მოჭრილი დრაკანიო (ფული)?“ იმათ უჩვენეს.— ეისი სახეა გამოჭრილი ამ დრაკანზეო?—ჰკითხა იესომ.—კეისრისაო—მიუფეს მწიგნობაროა.—მაშ რას ერჩით, კეისრის ყოფილა და კეისარს დაუბრუნეთო, ხოლო რაც ღეთის არის, ის ღმერთს შესწირეთო. მწიგნობარნი ვატყუედენ და წაიედენ სირცხვილმულნი.

ამდროს დგებოდა პასექის დღესასწაული და ურიცხვი ხალხი მიდოდა იერუსალიმს სადღესასწაულოთ. იესოს, დიდიხანია, განეზრახა გულში ხალხის თვალ-წინ ეჩვენებინა ანგართ-მოყვარეობა ებრაელთა სადღედელოებისა და ისურვა წასვლა იერუსა-



ლიმად. როდესაც იესო ქრისტე თავის მოწაფეებით მიუახლოვდა იერუსალიმს, დადგა ზეთისხილის მთის ძირში დასასვენებლათ და უბრძანა თავის ორს მოწაფეს: წადით, თქვენ წინ რომ სოფელს ჰხედავთ,

ვარეს ვირი და დაუფინეს ზედ სამოსელი; „დაჯდა იესო მასზედა“ და გაემართა იერუსალიმს. ამდროს მრავალი საწყალი ხალხი მიდიოდა იერუსალიმს სადღესასწაულოდ. როგორც კი იცნენ



შესვლა იესო ქრისტესი იერუსალიმად

იქ, სადაც ნახეთ დაბმულს ვირს თავის კვიციანა, ახსენით და მომიყვანეთო, თუ ვინმე გკითხოსთ, უთხარით: უფალმა ასე გვიბრძანაო. მოწაფეთა მოგ-

თავისი მოძღვარი და მოკეთე, მრაველსაგან უმრავლესი ხალხი გარს შემოგხვია. ზოგი წინ მიუძლოდა ზოგი უკან მისდევდა; ვისაც კი მისი საღეთო მოძღვრება

და ქადაგება მოესმინა, ყველანი ტანისამოს იხდიდნენ და მის პატივსაცემლად გზაზე უფენდნენ, სხვანი ტუბდენ ხის ტოტებს და მას უფენდენ, დანარჩენნი მუხლს იღრეცდნენ და თავიანს სცემდნენ. იესო ქრისტემ იგრაძნო ჭამი თავის განწირვისა, იცოდა, რომ იერუსალიმში ფარისეველნი და მწიგნობარნი ასეთს ხალხის აღლელებას არ შეიარჩენდნენ და უთხრა თავის მოწაფეებს: „არ იცით, რომ ამ ორ ღლეში ენება იქნება და მე კაცისა მიეცემა ჯვარ-ცმასაო?...“

ხალხი, რომელიც მისდევდა იესოს დიდი აღტაცებით უფალობდა: „ოსანნა ძესა დავითისასა! კურთხეულ არს მიმავალი სახელითა უფლისათა! ოსანნა რომელი ხარ მალალთა შინა“.

ასეთი დიდებით შევიდა იესო ქრისტე იერუსალიმში. თვით სოლომონის ტაძარში იყო სადღესას-

წაულოდ ეპარობა გამართული. იმან დაუწვრია ეპარებს გამართული საქონლის დასაწყობები, გასასყიდო მტრედების ძარვით გამოუყარა და შესძახა ტაძრის მღვდელ-მთავრებს, რომელნიც იღებდნენ ხალხისგან შესაწირავებს ფულით—და საქონლით: „სახლი ჩემი სალოცველად უნდა იყოსო და თქვენ-კი ავაზაკთა ქებად გაგხდითაო“.

მღვდელმთავრები და ფარისეველნი ძალიან გარისხდნენ იესოზე, შეპყრობა მოინდომეს, მაგრამ ვერ გაბედეს, რადგან იესო ქრისტეს მრავალი ხალხი გარს ეხვია და ეწინააღმდეგებოდა მისი. ბოლოს გულში განიზრახეს, როცა აღესასწაული გათავებდა და ხალხი დაიშლენა, მაშინ შევიწყრათ და ჯვარს ეაცვათ, თორემ ჩვენი მიუფება ხელიდან წასულიაო. ასეც მოიქცენ.

XX.

### ნ ე ი ტ რ ა ლ ი



ქეთაც ვარ, იქითაც ვარ,  
მიყვარს შუა მე ტრიალი...  
მაგრამ არსად კი არა ვარ:  
ჩემთვისა ვარ... ნეიტრალი.

მადლობა ღმერთს, რომ სხვებსავეთ  
არ მებნევა გზა და კვალნი...  
გადედევარ!... გამოედევარ!...  
ისე როგორც ნეიტრალი.

მე არა მსურს, ჩემზე ვინმე  
რომ გარისხდეს!... იოსო მწყურალი!...  
იაც მაშონს, ვარდიც მიყვარს,  
რადგანაც ვარ ნეიტრალი.

სამაისო მომზადებამ  
ორად გაჭყო ჩვენში ძალი,  
მე არც ერთს არ ვემატები:  
განზედა ვარ, ნეიტრალი.

ამობიენ, რო საზოგადო  
საქმე არის ყველას ველი,  
მაგრამ მე ჯერ ვალს არ ვიხდი,  
სანამდი ვარ ნეიტრალი.

სულ სხვა-დასხვა პარტიისა  
ერთად შემხედა ორი ქალი:

ერთი ერთს მთხოვს, მეორე სხვას...  
დამაფიქრეს ნეიტრალი.

ერთს ის ეუთხარ, მეორეს ეს,  
აქეთ თვალი!... იქით თვალი!...  
ბისმარკეით გამოემცერი,  
დაერჩი ისევ ნეიტრალი.

საარჩევნო ობინში ვიყავი;  
იქ სუყველა იყო მთვრალი.  
მეც ვსვი, მაგრამ ფიზილათ ვიყავი,  
რადგანაც ვარ ნეიტრალი.

ვინც ამ ქვეყნად პირდაპირობს  
ვთქვით, მხოლოდ მისი ბრალი,  
თვარა ყველგან კარგი ყმა  
ჩემისთანა ნეიტრალი!...

აქეთაც ვარ, იქითაც ვარ  
მიყვარს შუა მე ტრიალი!...  
მაგრამ არსად კი არა ვარ  
ჩემთვისა ვარ ნეიტრალი!!

ა.ა.ა.

### პარტიულთ სტუდენტების მსტერიალური მდგომარეობა და მისი გაუმჯობესება

(დასასრული)



ამისთანა სიღარიბე აიძულებს სტუდენტებს მაგ. პეტერბურგში და მოსკოვში (ორივე ქალაქში სამოცამდე სტუდენტთა) ქართული საღამოები მართონ (წირულის ხარკოვმიდელ გამარ-

თეს). თავი და თავი მიზანი ამ საღამოებისა ის არის, რომ რაიმე მატერიალურ დახმარება აღმოუჩინოს კაცმა ღარიბ სტუდენტებს. ამ საღამოებზე ან ეზარალობთ, ან 200—300 მან. ავიღებთ და რადგანაც ღარიბი სტუდენტი ჩვენ შორის საკმარისად არიან, თითოს ხედება 20—25 მან. ამ რამოდენიმე მანეთისათვის ყველა სტუდენტები ღარიბი, თუ შეძლებული, თუ-გადადებულნი არიან ერთი თვის განმავლობაში. უნივერსიტეტში ვიღარ დადიან, ლექციების სწავლას სპობენ, გარეშე წიგნების ჰკითხვას თავს აწებებენ, რომ საღამო გამართონ და ცოტად მანაც დავხარან ამანავს. რამდენი ცოდნა იკარგება ამ 20—25 მანეთის გულისათვის, რადგანაც ერთხელ დაკარგულ დროის დაბრუნება აღარ შეიძლება. რამდენი ცოდნა და კარგი აზრი შეიძლოა შეეძინა სტუდენტს ამ ერთი თვის განმავლობაში? იკარგება ეს ამდენი ჯაფა, შრომა, ენერჯია რაღაც 20—25 მანეთისთვის და დრო კი სტუდენტისათვის მეტად ძვირფასია. სასარგებლო არ არის ამ საღამოების მართვა, მაგრამ, როდესაც შიშობილი გაუჭირებს კაცს საქმეს, არა თუ ერთი თვით მოგაშორებს მეცადინეობას, სხვა საშარსეინო საქმესაც კი ჩაგადენინებს. ჩვენ რუსეთში მოგდღივით არა საღამოების გასამართავად, არამედ სასწავლებლად. ამ მხრივ ქართულს საღამოებს დიდი ზიანი მოაქვს ჩვენთვის.

ზემოთ ნათქვამი საკმარისად გეხმატებს სტუდენტების მატერიალურ მდგომარეობას, და ეს მხარე მათი ცხოვრებისა კიდევ მოითხოვს მის გაუმჯობესობას. გაუმჯობესობა უნდა იყოს დამყარებული არა კერძო დახმარებებზე, არამედ უნდა დაარსდეს დახმარებელი საზოგადოება. კერძო დახმარებით ჯერ ერთი ყველა სტუდენტს არ შეუძლია შემოწეობა მიიღოს; მეორედ, ცოტა არ იყოს, სირცხვილიც არის: კაცმა აიღოს თავი და დაიწყოს მათხოვრობა, და მესამედ—ამაინარი კერძო დახმარებით ზოკიერითი პირნი ავად საჩვენებლობენ. აიღებენ თავს ეს ვაჟბატონები და დაიწყებენ ვითომცად რომელიმე სტუდენტისათვის ფულის შეკრებას სამშობლოში. მოაგროვებენ თუ არა ფულს, სტუდენტი დააიწყებდათ და თვინათ ჯიბეში ჩაიდებენ.—თავისი ჯიბე უფრო ახლოს არ არის სტუდენტზე?—ამაზე მე ფაქტს მოვიყვან: ერთს საღამოს უტად შემოაღო კარი და შემოვარდა ჩემს ოთახში ფერ-მისდლი და ძლიერ აღელვებული ჩემი ამანავი სტუდენტი N ამ სიტყვებით: კაცო, განა ჩემისთანა უბედური კაცი იქნება ძველანაზე? ორი წლის განმავლობაში რამოდენჯერმე უჭრავენია ვიღაცას, ვითომდა ჩემთვის გამოსავანად ფული, და მე კი არაფერი მომსელოა, ამასაც ერთი ნაცნობი შემთხვევით მწერს, თორემ საიდან

გავიგებდი. შიშობილი ცეკვები, თუ ძმა ხარ, რამოდენიმე გროში მათხოვე. გუშინდელს აქეთია პირში ლუქმა არ ჩამიდგია.\* ეს ფაქტი იმასაც გეიმტკიცებს, თუ რა დიდ თანაგრძობას და პატივს უჩენს ჩვენი საზოგადოება მოსწავლე სტუდენტს: საკმარისია კაცმა მოსწავლის სახელი ახსენოს, ეინც უნდა იყოს, და საზოგადოება მაშინვე ფულს გაიღებს. სტუდენტთა დახმარება შეიძლება შეერთდეს სხვა საქველმოქმედო საქმეებთან. ამისთვის საჭიროდ ერაცხთ დაარსდეს „ქართულთა საქველმოქმედო საზოგადოება“, ასე რომ სტუდენტთა დახმარება შეადგენდეს მხოლოდ ერთ მხარეს ამ საზოგადოების\* მოქმედებისას. ამ „საქველმოქმედო საზოგადოებაში“ შეიძლება მოთავსდეს, აი, რა გვარი საქმეები. რანაირი ფონდისათვის გინდათ, რომ არ იკრიბება ჩვენში ფული? მაგ., ფონდები: ბაქრაძისა, ბარათაშვილისა, შოთა რუსთაველისა, ყაზბეგისა და სხვა. შემოწირულობანი ამ ფონდისათვის იკრიბება რედაქციებში. რედაქციას ხშირად დრო არა აქვს ამ საქმეებისათვის; გარდა ამისა, რა იცით, რომ რედაქციაში შეგროვილ ფულს იმისთანა საქმე არ მოუვლა, როგორც ბოლსეს პრემიას, 600 მან. მოუვიდა? ისტორია ამ 600 მან. უსათუოდ იქონიებს გველენას საზოგადოებაზე. საზოგადოება ხოლო მაშინ მიიღებს მონაწილეობას ფულით დახმარებაში, როდესაც იგი დარწმუნებულია, რომ მისი შემოწირულობანი თვინათ დანიშნულებას მიადგენენ და როდესაც შესაძლოა ამ შემოწირულობათა შემოწმება. როდესაც დაწესდება „ქართულთა საქველმოქმედო საზოგადოება“, ამგვარი შემთხვევა აღარ მოხდება, თუ ფონდის ფულს ეს „საზოგადოება“ შეაგროვებს. შემომწირველიც უფრო გულუხვად აღმოუჩენს დახმარებას: იგი დარწმუნებული იქნება, რომ მისი ფული მიალენს თავის მიზანს. ამასთანავე „საქველმოქმედო საზოგადოებას“ შეუძლია მოულოდნელ შემთხვევაში, მაგ. ხოლერობის დროს გაგზავნოს სოფლებში სანიტარული დასები თავის დროზე. წარსულ ხოლერობის დროს, სანამ დასები გაგზავნეს სოფლებში, ხოლერაც მოისპო თითქმის. ეს მით უფრო ადვილად შესაძლოა, რომ საზოგადოებამ დახლოებული იქნება სტუდენტებთან და ესენი კი გამოსადეგნი არიან ამგვარ საქმეებში. შიშობილობის დროსაც შეუძლია „ქართულთა საქველმოქმედო საზოგადოებას“ დავხმაროს დამშუფლოთა. მიზანი „საზოგადოებისა“, რომელიც არის გამოთქმული თვით სათაურში. გვიჩაბავს, თუ რამდენ ამგვარ დახმარებას აღმოუჩენს საზოგადოებამ\* კაცს. სულ იმაზე არის დამოკიდებული, თუ როგორი წესდება ექნება „საქველმოქმედო საზოგადოებას“. ამაზე აქ არაფერს ვიტყვი. უსათუოდ, ეინც ზღვს მოჰქედოს ამ საზოგადოების\* განხორციელებას, წესდებასაც შეადგენს.

მე კიდევ დაუბრუნდები იმ მხარეს ამ „ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების“ მოქმედებისას, რომელიც შეეხება სტუდენტთა დახმარებას და მოვიყვან ერთ მოსაზრებას. სხვათა შორის ზემოთ აღწერილს კუდ მდგომარეობას უნდა მივიწეროს ის გარემოება, რომ სტუდენტს უნივერსიტეტის გათავებას შემდეგ არ „სლუსის სამშობლოში“ დაბრუნება. ერთი ქართველი სტუდენტი მეუბნება: საქართველოში რომ დაბრუნდე, რა უნდა გვაეკეთოვო, ადგილს მე არ მომიცემენო; ჩემი დედ-მამა თავიანთ თავს ძლიერ იჩინებო, და რუსეთში კი ადგილს მაილე მივიღებო. მეორე იძახის, სამშობლოში ადგილს მე არ მომიცემენო, რუსეთში დაეიწყებ სამსახურსო და ბოლოს საქართველოში გადამიყვანენო. ის კი არა რომ თავის წინააღმდეგ თვითონვე ლაპარაკობს: თუ საქართველოში ადგილს არ მისცემენ პირველადე, არც შემდეგ გადაიყვანენ იქით. მოყვანილი ორი მაგალითი, მართალია, კერძო შემთხვევაა, მაგრამ თუ სხვა ქალაქებშიდაც მოიპოვებინ ამისთანა პირები, მაშინ კი საყურადღებოა ეს მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში. ჩვენ იმდენად ნაკლებად გვეყვან უმადლესი სწავლა-დამთავრებული პირები, რომ ერთი კაცის დაუბრუნებლობაც უსათუოდ დანაკლისად და ჩვენთვის დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. „ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოება“ დიდს ღვაწლს გაუწიებს სამშობლოს, თუ რამოდენიმე პირსაც კი შეიძლება დაბრუნოს საქართველოში და ამას იგი შესძლებს. ძნელი წარმოსადგენია იმისთანა უსენინდისო კაცი გამოვიდეს და არ დაბრუნდეს სამშობლოში, სამსახური არ გაუწიოს იმ საზოგადოებას, რა საზოგადოებაც მას ეხმარებოდა და ხელს უწყობდა სწავლაში. მართალია, სამშობლოში დაბრუნებისათვის უფრო სხვა მაღალ აზრით უნდა ხელმძღვანელობდეს კურს დამთავრებული, ამის წინააღმდეგ არაფერი ითქმის, მაგრამ დეე, იხელმძღვანელოს კაცმა რანაირე უნდა აზრით, თუნდ ძალიან მარტყვით, ოღონდ კი პატიოსანი აზრით. ჩვენ ოღონდ დაგვიბრუნდენ ნასწავლი პირები საქართველოში საზოგადოების სამსახურისათვის და რითაც უნდა, იმითი იხელმძღვანელონ.

ჩემს წერილს ეათაებ მით, რომ ძველი თაობა ყოველთვის უნდა ცდილობდეს მომავალს თაობას გზა გაუკვლიოს, დააყნოს იგი სწორე და ჭეშმარიტ გზაზე იმ აზრით, ანუ მიზნით, რომ ამ უყვანსკნელ თაობას ზურგის გამაგრებისათავე, პირველმა თაობამ დაუთმოს მას თვისი ადგილი. ამ აზრით ხელმძღვანელობს მამა, როდესაც იგი თავის შვილს ასწავლის, უხსნის, აჩვენებს, თავის გამოცდილებას გადასცემს, რათა შეიძლოს ადვილად შესძლოს ცხოვრების უღელის გაწევა. იგი ყოველისფერში ხელს

უწყობს, რომ შვილი ადვილად და კარგად მოემზადოს ცხოვრების საბრძოლველად და ამ მომზადებაში შუა გზაზე არ დარჩეს, არ შეჩერდეს. მართალია, „საქველმოქმედო საზოგადოება“ ყოველ მხრივ ვერ შესძლებს დახმაროს მასწავლე ახალ-თაობას, მაგრამ თუ მატერიალურად მაინც გააუმჯობესა მისი მდგომარეობა, ესეც სამეარისი იქნება. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ რამოდენიმე პირმა მოჰკიდოს ხელი ამ საქმეს და განახორციელოს ეს „ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოება“. ეჭვი არ არის, რომ ეს დაწესებულება ჩვენთვის დიდად საჭირო და სასარგებლო იქნება. მხოლოდ კაცმა დროით უნდა ისარგებლოს; დღეის გასაკეთებელი ხელისთვის არ უნდა გადადეს, რადგან არ იცის კაცმა, თუ ხელისნაღწევი დღე, რას მოიტანს.

ქ. ჰუცუბერგო

ი. ჩარეჟ. შვილი

ლ ა კ ლ ა კ ი (მარბუ)


**ლ** შირად მოგზაურები აფრიკაში შეხედებიან მდინარებს ნაპირებზე თავ-თველ წყლებში, დიდრონ და უშველვებელ გროვა ფრინველებს, რომელნიც უძრავად დგანან თავიანთ ნახევარ საყენიან ფეხებზე. ეს გოლიათი ფრინველი არის ყარკატი — ლაკლაკი.

სიმაღლით თითქმის საყენი არის, სიგრძე ხუთი ფუტი. თავი დე ყელი მოტიტულებული აქეთ, უზუმბლო ნისკარტი ქენება სიგრძით ფუტ-ნახევარი. ლაკლაკი (მარბუ) საშინლად მიეგვანება ხანში შესულ ფილოსოფოსს, რომელიც ჩაფიქრებულია წუთისოფლის არაობაზე. ნემეცებას სწორეთ კია სახელი დაარქვეს იმას — „ტიანოსტენიკი“ მართლადაც ლაკლაკი ძალიან მიეგვანება თავ-მოტელებილ მოხუცებულ მაღალ ხარისხის მოხელეს, რომელიც მედიდურად დასცქერის თავის ხელ-ქეითებს. მისი გარეგანი მორთულობა, თ-თქოს მომწვანო ფრაკი, თეთრი ქოლცეტი და შალვარი, მართლა მიაგვანებს მას ვინმე ბრწყინვალე პირს.

მაგრამ, ვი, იმ კუს ბოალი რომელიც მოტყუებდება ლაკლაკის მედიდური შეხედულობით და მის ბრწყინვალეობას მოუახლოვდება! ქვეყანაზე ამისთანა გაუმადლარი და აე-მუცელა არაეინ მოიპოვება! იმოღენა თეესს გადაულაპავს ერთად, რომ ითხ კაცს ეცაფა, იმის ჩინახე-დან არა ერთხელ ამოულიათ ხარის მითეო ფეხები. ერთ ლაკლაკს მუცელში უპოვეს მითელი მავი დიდი კატა. ეს გოლიათი ფრინველი თუნდ დაჭრილიც იყოს, თუნდ მონადირე სდენიდეს, მაინც გზაზე, სიბობოშიაც არ იშლის დავლის მთაკაცებას, თუ კი მოახერხებს ხელში რისამე ჩავდებას.

მისი გაუმადლობით ხშირად სარგებლობს აფრიკის ხალხი. გრძელ, მაგარ თოკს მოაბმენ ცხერის დიდ ძეოს და სხვა ნასუფრალთან ერთად მიუგდებენ. აე-მუცელა გადაყლაპავს ძეოს და სანამ თავს

ბიან წყლის ნაპირას და ერთი მეორეს შეეღის თე-ეზის დაჭერაში. გამაძლარი ლაკლაკი ძალიან გულკეთილია, მაგრამ როდესაც მშვიერია—ღმერთმა ყველა დაიფაროს იმისაგან, საშინელ აეზაკად გადიქ



ლაკლაკი (მარაბუ)

დაიხწვეს უეარდება მტერს ხელში. ამ ფრინველს ამის მეტი სხვა წყუნი არა აქვს რა, ძალიან ჭკიანი და ფრთხილია. დიდ გამჭრიახობას და ხერხს იჩენს თე-ეზის დაჭერაში, ათი-თორმეტი მათგანი ჩამწყრივდე-

ცევა ხოლმე, დაუსრულებელად ეჩხუბება ბორას და ფასკუნჯს. მოშინაურებული ლაკლაკიც ძლიერ იკავებს თავს, ცოტა ხანს რომ მშვიერი დარჩება. ერთი მგზავრი

მოგვიტხოვრობს მოწინააღმდეგეობის ღირსებას: ყოველ საღივობაზე თურმე თავის პატრონის სკამს უკან დგებოდა ლაქიასავით, არც კი აცლიდა სტუმრებს დასხდომას, მასწავლებლები თვალს ეგრ აშორებდნენ ამ არა მკითხველ ლაქიას, რადგან ერთხელ ლაქიამ ბლუდის ჩამოტარების დროს დაუღვწოდა გამოჩინა და ლაქიამა სწრაფად მოსტაცა მთელი ქათამი და ერთს წამს გადაყლაპა.

დასასრულ უნდა ვთქვათ, რომ ლაქიას დიდი სარგებლობა მოაქვს, რადგან მრავლისაგან მრავალ გველებს და სხვა ქვემტრომებს ასაღებს და მისი ბუმბული სიმშვენიერით უკან არ ჩამოაუჩრჩბება სირაქლემის (სტრაუსის) ბუმბულს რომელიც ისე ძვირად ფასობს ჩვენში და რომლებსაც ჩვენი ქალები თავისტებით ყიდულობენ შალაბების მოსართავად.



კ რ ი ტ ი კ ა

ქართული გლეხის შვილი

(„ბუნჯო“—მოთხრობა ნ. შელანასი, 1891 წ.)

III.

**ბ**ევნი ახალი ლიტერატურის ერთს დიდად პატრიცებულს წარმომადგენელთაგანს, თავი იღ. ჭავჭავაძეს თხზულებებს უფრო აშკარად ატყვია მიმამკვლობათი ნიჭის კვალი, რომ არ შეეცნოთ ამ მწერალს, ვითარცა ლირიკოსს (აქაც იგი ჰბაძავდა ჯერ „თავის მაშას“ ნიჭ. პარათაშვილს, შემდეგ ნ. ნეკრასოვსა და პლემჩევის, ბოლოს კი დაუბრუნდა ისევ რომანტაჟს) და თვლი ვადავალოდ მხოლოდ იმას ბელეტრისტულ ნაწარმოებს, დაინახეთ, რომ იგი მოკლებულია საკუთარ ორიგინალურს შემოქმედების ნიჭსა და წარმოდგენის მადლს. მავალითად ავიღოთ „კაცია ადამიანის!“ საუანი; ამ საგნის დახატვა, იმისი ხასიათი და კილო, მასთან მწერლობის მანერას ერთი და იგივეა, რაც წარჩინებულის მწერალის გავოლის ერთი ნაწარმოებსა. გავოლის იუმორისა და დაცინვასათ, იღ ჭავჭავაძის დალინვაც კი მხოლოდ მშრალი ფსიხოლოგიური და კერძო ინდივიდუალური ხასიათისა არის, აქ, ამ ნაწარმოებში, ქართული მწერალის მხრით, ერთი თავისებური დამოუკიდებელი ნიჭის ნაბიჯიც არ არის გადადებული. მაგრამ, ვინაიდან იმ პირთა წრე, რომელიც აწერია „კაცია ადამიანის!“ ბუმბუდიდანე უფრო ეცნობოდა და ენათესავებოდა „კაცია ადამიანის!“ ავტორს, ამისთვის მას შეეძლო ესარგებლა თავის ნაწერის შესატხველად საკუთარი წრისა და ნათესავთა ცხოვრების მოგონებით. ეს ასეც

უნდა ყოფილიყო, და სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება უნდა ჩაითვლოს უფრო მიზეზად იმისა, რომ იღ. ჭავჭავაძემ, აქ, რაც უნდა იყოს, მიბაძვაშიც გამოიჩინა ქართული თავადშვილების ზნე-ხასიათისა, ყოფა-ტყევისა და ცხოვრების კონდა და იმისა ნაწარმოებმა შესამჩნევად შედ-მოქმედება და შთაბეჭდილება მოახდინა მკითხველ საზოგადოებაზე და ავტორს საყვარლის მწერალის სახელი შოუბეჭეპა ქართველ ინტელიგენტთა შორის. იმ დროის ქართველი ინტელიგენციაც ხომ რუსის ინტელიგენციასავით, უცმაყოფილო, მოღუტრავი და უარის მყოფელი იყო უმაღლესი წოდების შვილთა უზრუნველი ცხოვრებისა. და ამ პატიოსანსა ჭნებტაც საზოგადო გრძნობას ბანი მისცა იღ. ჭავჭავაძემ, როდესაც დასწერა „კაცია ადამიანის!“ და სანტიმენტალური მოთხრობა „გლახის ნაამბობი“ (ავტორს დაწერილი აქვს მხოლოდ ერთი პატარა სცენა, სადაც სინამდვილით არის დახატული გლახა ქრიაშვილი“ და ამით, რასაკვირველია, მან თვისდამი აღძრა სიმპატია და სიყვარული რიცხვით მცირე ინტელიგენციისა და უბრალო მკითხველებისა...

ასეთივე შედეგი მოჰყვა იმის რომანტულს ნაწარმოებს „ოთარანთ ქვრისაც“. იღ. ჭავჭავაძემ ამ მოთხრობით აღძრა და აშლა გრძნობანი, აგრე წოდებულ, ტეტების მოტრუილეთა, რომელთა ბეჭუტის, უნადაგო „მიმართულებას“ დაეძირჩილა და დაქვემდებარა ავტორი. მაინც ტეტების მოტრუილეთა სურვილი ხომ სულ მთლად უსუსური იყნების ნაყოფი იყო და ვლავლუქობად უარს იღება იღიხმისა. იმ კატეგორიის მწერალინიც, როგორიც თ. იღ. ჭავჭავაძეა, ყოველთვის ებლაუქებიან ხოლმე დრო გადასულსა და უნადაგო იდეალიზმს ლიტერატურაში. თუ როდისმე მწარე ცხოვრებისა და მტკიცე ფილოსოფიური დედა-აზრთა საფუძვლიანობის შუქი წვერ-ულავათა ახლად აკოკრების დროს შემთხვევითოდნაე შევნიათ ამ წრის ინტელიგენტთა, იყ-კაცობაში ადგილად იგიწყებენ და უარს ჰყოფენ თვინათ „უბუნებლის დროის გატაცებას“. შემდეგ დამშვიდებით გვიამბობენ, რომ ჩვენი გატაცება ბეჭური იყო და სრულიად უმარნო და უსარგებლოცო. ვინ იცის, იქნება, ეს მართლა ასეც იყო... ხოლო, რაც უნდა ყოფილიყო, ქართველ საზოგადოების გრძნობა-გრძნების ესეთი უსუსურის მდგომარეობას თვით ავტორის სახელის დროებითის, წუთთვის განდიდებისათვის მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ის კი უტყველია, რომ იმისი ლიტერატურული ნიჭი და ნაწარმოები არ იყო ქეშმარიტი ხელონური ღირსებითა და თვისებით შემკული, აშკარად დაეტყო ნიშანი დაქვეითებისა, გაკოკრებისა და, მა-

შასადამე, ვერც შეიქნებოდა სამკვიდრო და შეუწყველო, ხანგრძლივი და წმინდა ნაწარმოები ლიტერატურისა, თითქოს ავტორსაც უგრძენია აშკარად სისუსტე და უნიადაგობა თავისი ნაწარმოებისა და ცდოლა ეს არსებითი ნაკლი შევესო რეზონანსობით უშინაარსო, ბუნდი და ზოგადი ფრაზების ხმაურებით, რომლითაც წარა-მარა აღაპარაკებს სრულიად უსუსლო და უსისხლ-ხორცო კესოსა და არჩილს. როგორც „გლახის ნამშობობა“ დაეტყო ზღაპრობა და უმართლობა, ისე „ოთარაანთ ქერიის“ (თუმცა ავტორის განზრახულება და სურვილი—„გლახის ძმად გახდომა“—კეთილია) ცხადად ატყვია აღმზულის საგნის სრული უცოდინარობა, ნამდვილ ცხოვრების მიმდინარეობისაგან ავტორის მიერ უკან ჩამორჩენა, დაკვირვების ნიჭის სრულიად შეჩერება და რუსული ძველობის მიბაძვით წინად მოაზრებული, ტენდენციური წასაითი, რომ ამით მოეგო გული ჩვენებურ მყვირალა და უციც ქართულ ტეტების მოტრფიალეთა, რომელნიც ავტორს აღბად, თავის განუეითარებლობის გამო, მიანდა „მშობისა და ურთიერთობის“ მქადაგებელ ბრწყინვალე რაზმად. ამ გზარად „გლახის ნამშობობა“ და „ოთარაანთ ქერიის“ თუმცა, რაც უნდა იყეს, თავის დროს ჰქონდათ საზოგადოებრივი მნიშვნელობა, მაგრამ ისინი სელოჯურ და მსგავს და სიტყვებს სწავლად მოკლებულნი არიან. ამ სიტყვებით ჩვენ ვამტკიცებთ, რომ იღ. ჭავჭავაძემ ყურადღება მიიქცია არა თავის დამოუკიდებელ, ორიგინალურ შემოქმედობითის (непосредственное художественное творчество) ნიჭითა, რომელიც თავის თავად, თვით შინაგანის ძალთა თვისებითა და ღირსებით უკვდავს ჰქნის ხოლმე მხატვარს, არამედ თავისი ტენდენციური ნაწერების საუბლიცისტო საგნითა და ხასიათით, რომელსაც ნიადაგი ჰქონდა ჩვენს ცხოვრებაშიც და ჭამთა ვითარებამ დაბადა ამ საუბლიცისტო საკანთა ინტერესი. აღბად, ეს გარემოება უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ ტეტების მოტრფიალეთა იღ. ჭავჭავაძეს; ვით ტურგენიეის რუსეთში, მარტო ბრმა მიბაძვით უწოდეს და დაარქვეს „საზოგადოების მესაიღუმლე და მოგულისპასუხე“.

თავ. იღ. ჭავჭავაძის ნაწერებს რომ ეუყვირდებოთ, ჩვენ ვერწმუნდებით, რომ დიდად პატრიცეუმულსა და დამსახურებულს ავტორს, როგორც ჰგავს, პატი-

ოსანი სურვილი ჰქონია გულში აღძრული, რომ ქართველ საზოგადოების ჭკუისა და გრძობის გასაწერებელად, თუ ცხოვრების ვითომ და გასაცნობად, შეუთხზავს გლახთა ცხოვრების გარემოებათა შეუფერებელი და, მაშასადამე, თავის ოცნებით გამოგონილი არსებანი, რომელთა შესახებ ერთგან თვითონვე წერს: „გიორგი, როგორც ჩემთვის, მკითხველთა, ისე იმთთვის (უნდა ითქვას—ისე იმთთვისაც, ე. ი., კოსოსა და არჩილისათვისაც) გამოცხან იყო („ოთარაანთ ქერიის“). რასაკვირველია, გიორგისთან თვით დედა იმისი, ოთარაანთ ქერიისც „ვაშლიცანაა“, მაგრამ ვითომ და შემოქმედებითა ნიჭითა თავისთავად გამოანახენია ავტორის ცხოვრებაში ასეთი გლახი და ასეთი გლახის ქერიის, და ჩენი უსუსური ქართველთა საზოგადოება თითქოს ფსიხოლოგებისა ან ფსიხიატრებისაგან შედგებოდეს, რომ ამგვარი ფსიხო-პათოლოგიურ მოვლინებათა და ძნელად გამოუცნობელ გამოცხანებს იკვლევდეს? სიკვდილის ჩვეულებრივ შვილთა ცხოვრების ყალბი წარმოდგენა, ყოველგვარ მკირიოდენი და უმნიშვნელო გარემოების განვადება და რაღაც ბევრერი სანტიმენტალური ხასიათი და კილო, მასთან ენაც ისეთი, როგორიც სჩვეია ხოლმე, საზოგადოდ, რომანტულს ნაწერს, ცხადად გეიმტკიცებს, რომ ამგვარი ხასიათის ნაწერების გამოკიდება, დახლართული და ძნელად გამოსაწნობ „ვაშლიცანების“ უნიადაგო, ცრუ წარმოდგენა, სრულიად უმიზნო და უსარგებლოა ჩენი საზოგადოებისათვის, რომელსაც ვერ თავისი ნამდვილი სახე, დღიური ცხოვრების მკრთალი ცნობაც არა აქვს. მე მგონია, არც ავტორს დაყარის ხეირს ამგვარი გამოცხანთა და „უცნაურ ამბავთა“ თხზვა... ამ საბით, თუმცა თ. იღ. ჭავჭავაძემ თურმე, ქართველთა „საზოგადოების დიდი მესაიღუმლე და მოგულისპასუხე“ ყოფილა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ბელეტრისტის ნაწერები ქართველ გლახთა შესახებ დაწერილი ჩვენს კრიტიკის მასალად ვერ გამოადგება...


ქართველი გლახთა ცხოვრების დასურათების საქმეს შეუდგა მთელი რიგი მწერლებისა, რომელთა შორის უნდა მოვიხსენიოთ: ს. მგლოზლიშვილი, ნ. ლომაური და ეკა გაბაშვილისა. ეს ნიჭიერი მწერლები თვითონ ნაწერებში თუმცა საკმაოდ ცოცხლად გვიხატენ აღმოსავლეთის საქართველოს სოფ-

ლელგების ცხოვრების სურათებს, მაგრამ შინაარსით, უნდა ვთქვათ, ერთობ სუსტნი და ღარიბნი არიან. იმათ ნაწერებს აშკარად ატყეია აჩქარებული დაუმწიფებელი და სულ-დაუთქმელი კაცის შრომა და ნიჭი. ამ ბელეტრისტებს თითქოს, წუთიერად, თვალითა ერთის შეხედვითა და ხელის გაკერით, ისიც შემთხვევით და უცაბედად დაუწერიათ თავიანთი ნაწერები და მოთხრობათა ცალ-ცალკე ნაწილების გამოკვეცა, შემუშავება და ხელოვნურად გაშენიერება უუურადღებოდ დაუტრავებიათ. დასახელებულ ავტორთა პაწია მოთხრობანი და სცენები სკეჟაზმა

მსატკრობას ნიშნუხსაც ვერ იძლევიან საცემბით და ცხადად ატყევიან რუსთა, აგრეწოდებულ, „ნაროდნიკების“ გავლენა და ზედ-მოქმედება. ამითი უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ არც ერთი იმათგანი არ ცდილა შემზოდა თავის მოთხრობათა დიდ-მნიშვნელოვან საგანს თავისებურის, თვით საკუთარის ძალ-ღონის მოწიფულებით, არ მოჰკიდებია დიდისა და ფრთხილის მოფიქრებთა და დაკვირვებთა...

ხომლედი

(შემდეგი იქნება)



### ორიოდ სიგჳვა ქალების სამზარეულოზე

**მ**არშან ჩვენ აუწერეთ „კვალის“ მკითხველებს, სომხების ქალების საქველ-მოქმედო საზოგადოებამ როგორ გამართა კურსები საქმელების გაკეთების შესასწავლოთ. ამ თუთხმეტიოდე თვეში ხუთი კურსი გაუვლიათ და სულ 90 ქალს უსწავლიათ. მათ შორის, სომხებს გარდა, ყოფილან რუსის, ქართველის, ნემციის და ურიების ქალებიც კი. თითო კურსზე არა ნაკლებ ორი ღარიბი გაუთავისუფლებიათ შესატან ფულისაგან (25 მანეთია შესატანი თითო კურსისა).

ახლა ამ აპრილის დამდეკს გაიხსნება, მეექვსე კურსი. ჩვენდა სამწუხაროთ უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველს ქალებს თითქმის არაფერს უსწავლიათ, როდესაც მათთვის ძალიან საჭიროა ქალაქებშიაყ და სოფლებშიაყ. გარდა ყიზართობისა—ჯანრთელობისათვისაც აუცილებლად გამოადგევიან; არა თუ ღარიბებისათვის შემდებულ ოჯახებისათვისაც ურიგო არ არი ამგვარი ცოდნა. რა შეედრება იმ ოჯახის ქალს, როდესაც უცაბედად მზარეული ვერ გაუკეთებს საქმელს და თითონ შეიძლებს სადილის მომზადებას. ერთხელ დამსწრე ვიყავ, დღესასწაულ დღეს მასპინძელმა მიიწვია სტუჳმები და მზარეული ბაზრიდან ისეთი ნასეამი მოუტოდა, რომ გავგება აღარაფრის ჰქონდა. იმ დღეს ეს მასპინძელი სწორედ შესაბრალოსი იყო, ხელების მტრევეთ ყველას ეტეწებოდა—იქნება სადილი როგორმე გამოიკეთათო.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

## განხიხადეგანი

დაზოღავეი საზოგადოება

### ი ბ კ ო რ ი (ღუხა)

უძღდეგსად დამტკიეგუელი 1872 წელს, რომელსაც ძირითადი თანხა 2.500,000 მანეთი აქვს, გარდა სულადის ფულისა, ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღდევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღდეველს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

მიიღება ყოველნაირი მოძრაევისა და უძრავის ქარების დაზღდევა ცეცხლისაგან, აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასალ-წამოსაღების საქონლის დაზღდევა ცეცხლისაგან. წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგებაში, რომელიც დადენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, თუ არა თვით საზოგადოების ადენტის აღუქსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2.

## სვილიისსი ქალაქის გავგეგობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ 27 აპრილს, 1894 წელს, დილის 12 საათზე დანიშნულია ქალაქის გამგეობის დარბაზში იჯარით გაეცემა პარიმის ტკვარზე მუხრანისა და რიყის ქუჩებ შუა 1 იანერიდან 1894 წ. სამი წლის ვადით. პირობების შეტყობა შეიძლება თვით ქალაქის გამგეობის კანცელარიში დილის 10 საათიდან 12 საათამდის.

(3)